უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში

ანგარიში

2024-2025 (იანვარი-მაისი)

TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიში მომზადდა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ.

ანგარიში შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალ-ფეროვნების ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

© 2025, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ვებგვერდი: www.tdi.ge

სარჩევი

შესავალი 4

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის პოლიზიკა 5

1.1. სახელმწიფო საზღვრის კვეთის მართვის პრაქტიკის კანონიერება 5

1.2. უცხოელი ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების საქართველოში არშემოშვების პრობლემა 8

1.3. უცხოელი სტუდენტების საქართველოში არშემოშვების პრობლემა 12

2. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის, მასზე უარის და გაუქმების პოლიზიკა 14

3. უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოდან გაძევების პრაქზიკა 17

4. რასობრივი დისკრიმინაცია და დანაშაულები 20

4.1. რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა 20

4.2. რასობრივი დისკრიმინაციის სხვა შემთხვევები 22

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში ასახულია საქართველოში უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევები 2024 წელსა და 2025 წლის იანვარ-მაისში. ეს პერიოდი მძიმე იყო, ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის უკუსვლის თვალსაზრისით და გამოირჩეოდა „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური რიტორიკითა და პოლიტიკით.

ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის საერთო სურათის მკვეთრი გაუარესება, ცხადია, საქართველოში მცხოვრები უცხოელების უფლებრივ მდგომარეობაზეც აისახა.

ამ მხრივ, საანგარიშო პერიოდი გამორჩეულია ქართული პოლიტიკით დაინტერესებული უცხოელი (მეტწილად, დასავლეთევროპელი) ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების საქართველოში მასობრივად არშემოშვებით. საქართველოში არ შემოუშვეს აგრეთვე უცხოელი სტუდენტები, რომლებიც საზაფხულო არდადეგებიდან სწავლის გასაგრძელებლად ბრუნდებოდნენ.

უფრო რეპრესიული გახდა სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენელი უცხოელი სტუდენტების მიმართ, რომელთაც, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების დაცვის საბაბით, ბინადრობის ნებართვები გაუუქმეს და სწავლის დასრულების საშუალება არ მისცეს.

სახელმწიფო პოლიტიკა გამკაცრდა უცხოელთა საქართველოდან გაძევების თვალსაზრისითაც. ეს მექანიზმი „ქართული ოცნებისთვის“ უცხო ქვეყნის პოლიტიკურად მიუღებელ მოქალაქეთა მიმართაც გამოიყენება.

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის პოლიტიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების ანტიდასავლური რიტორიკა და პოლიტიკა და ავტორიტარიზმისკენ გადახრა უცხოელების საქართველოში შემოშვების პრაქტიკაზეც უარყოფითად აისახა.

გახშირდა უცხოელი სტუდენტების საქართველოში არშემოშვების შემთხვევები, რასაც ხშირად მათთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვების გაუქმებაც ერთვის. ამ სტუდენტების უმრავლესობა აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდანაა. ამგვარ მოპყრობას ისინი თავიანთ ეთნიკურ წარმომავლობას და/ან რელიგიურ კუთვნილებას უკავშირებენ.

„ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიული და ანტიდასავლური პოლიტიკის ნაწილია ასევე უცხოელი (უმეტესწილად ევროკავშირის და დასავლეთ ევროპის წევრი ქვეყნებიდან) ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების საქართველოში არშემოშვების ტენდენცია, რომელიც, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდიდან მოყოლებული, გაძლიერდა. ყველა ამ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება უცხოელის საქართველოში არშემოშვების შესახებ შაბლონური და დაუსაბუთებელია.

1.1. სახელმწიფო საზღვრის კვეთის მართვის პრაქტიკის კანონიერება

სახელმწიფო საზღვრის კვეთის მართვის პრაქტიკის კანონიერების სრულფასოვნად შეფასება ძნელია, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო საზღვრის კვეთის სრულყოფილ სტატისტიკას, როგორც თავად აცხადებს, არ აწარმოებს.[1] TDI-მ, წინა წლების მსგავსად, 2024 წელსაც გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ

1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 15 იანვრის MIA 1 25 00098066 წერილი.

რამდენ უცხოელს და რომელი სახელმწიფოების მოქალაქეებს ეთქვათ უარი საქართველოში შემოსვლაზე და რა საფუძვლით. თუმცა, როგორც წინა წლებში, სამინისტრომ ამჯერადაც თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე მიუთითა[2]. მაგრამ ამ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემები არ მოიცავს ინფორმაციას არც საქართველოში არშემოშვებული უცხოელების რაოდენობის შესახებ და, მით უმეტეს, არც მითითებას მათი მოქალაქეობისა და არშემოშვების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.[3] მეტიც, სამინისტრომ თავისსავე წერილში მიუთითა, რომ „საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ფაქტების სტატისტიკას საფუძვლების მიხედვით, სამინისტრო არ აწარმოებს“.[4] ამგვარი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა საქართველოს სახალხო დამცველსაც პრობლემურად მიაჩნია.[5]

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საზღვრის კვეთის მართვის პრაქტიკის კანონიერების შესახებ წარმოდგენის შექმნა მაინც შეიძლება როგორც TDI-ს მიერ წარმოებული ადმინისტრაციული და სასამართლო საქმეების, ისე საჯარო წყაროებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით. კერძოდ, TDI-სთვის ცნობილ ყველა შემთხვევაში, უცხოელის საქართველოში შემოშვებაზე უარის თქმის საფუძვლად დასახელებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა, ამავე პუნქტში ჩამოთვლილთაგან განსხვავებულ შემთხვევებში. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი (რომელიც უცხოელების საქართველოში შემოშვების საკითხს წყვეტს) არც იმას უთითებს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელი სხვა კონკრეტული საფუძვლით ეთქვა უარი უცხოელს საქართველოში შემოსვლაზე და არც სიტყვიერად განუმარტავს მათ არშემოშვების მიზეზს.[6] ამგვარი პრაქტიკა გაკრიტიკებულია სახალხო დამცველის მიერაც.[7]

2 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 16 იანვრის MIA 1 25 00098066 წერილი.

3 საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის 2024 წლის სტატისტიკური მონაცემები - https://info.police.ge/page?id=862&parent_id=94.

4 იქვე.

5 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024 წელი“, გვ. 378. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf

6 ამ ნორმის განმარტების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) ანგარიში „უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში, 2022“. გვ.13-14. https://tdi.ge/sites/default/files/tdi_ucxoelta_uplebrivi_mdgomareoba_da_rasizmi_sakartveloshi_2022_angarishi.pdf.
იხ. აგრეთვე https://www.radiotavisupleba.ge/a/33123243.html

7 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024 წელი“, გვ. 377. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf

საჰაერო გზით ჩამოსულ უცხოელს, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოში შემოშვებაზე, უსასყიდლოდ უკან აბრუნებენ იმავე რეისით, რომლითაც ჩამოვიდა.[8] თუმცა, თუ მას სხვა რეისით სურს წასვლა, გამგზავრების თანხის გადახდა თავად უწევს.

უკან დასაბრუნებელ რეისზე ასვლამდე საქართველოში არშემოშვებულ უცხოელს სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ოთახში აცდევინებენ. მოცდის ეს პერიოდი, შესაძლოა, გაგრძელდეს როგორც რამდენიმე საათს, ასევე ერთ დღე-ღამეზე მეტ ხანსაც. სწორედ ამ დროს ადგილი აქვს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას, რაც, მათ შორის, იმით გამოიხატება, რომ უცხოელებს პირად ნივთებს ართმევენ მანამდე, სანამ უკან დააბრუნებენ. ამგვარ ქმედებას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, თუმცა მას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ხშირად მიმართავს,[9] რისი ერთ-ერთი მიზანიც, სავარაუდოდ, ისაა, რომ უცხოელმა, მის უკან დაბრუნებამდე, ვერ შეძლოს ახლობლებთან კომუნიკაცია, მისი არშემოშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ადვოკატთან დაკავშირება.

ამ ვარაუდის საფუძველს, სხვა საჯაროდ ცნობილ საქმეებს შორის, საქართველოში არშემოშვებული ჩეხი ჟურნალისტის საქმე იძლევა.[10] მან ტელეფონის ჩამორთმევამდე მეგობართან დაკავშირება და მისი არშემოშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოასწრო. შედეგად, TDI-სთვისაც ცნობილი გახდა ეს შემთხვევა და, ჟურნალისტის მეგობრების თხოვნით, TDI-ს ადვოკატი მისი დახმარების საქმეში ჩაერთო. როდესაც იგი ჟურნალისტთან შესახვედრად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მივიდა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მათ შეხვედრის საშუალება არ მისცეს, რაც ასევე სრულიად უკანონოა და არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიღებული საჩივრების საფუძველზე, შეყოვნების პერიოდში (უკან გაბრუნებამდე) უცხოელისათვის პირადი ნივთების უკანონოდ ჩამორთმევის პრაქტიკის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველიც აღნიშნავს.[11] მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ფაქტის უარყოფით შემოიფარგლება და არავითარ მტკიცებულებას არ წარადგენს.[12]

8 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 4 თებერვლის MIA 3 25 00318306 წერილი.

9 იხ. „საქართველოში არ შემოუშვეს ჩეხი ჟურნალისტი - სახელმწიფო უწყებები კომენტარს არ აკეთებენ“, რადიო თავისუფლება, 23.10.2024, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33170100.html, აგრეთვე - „RSF საქართველოში ფრანგი ჟურნალისტების არშემოშვებას დაშინების მიზანმიმართულ სტრატეგიად აფასებს“, Civil.ge 11.04.2025, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/675351.

10 იხ. „საქართველოში არ შემოუშვეს ჩეხი ჟურნალისტი - სახელმწიფო უწყებები კომენტარს არ აკეთებენ“, რადიო თავისუფლება, 23.10.2024, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33170100.html.

11 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024 წელი“, გვ. 378. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf

12 იქვე.

1.2. უცხოელი ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების საქართველოში არშემოშვების პრობლემა

2024 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, თვალშისაცემ ტენდენციად ჩამოყალიბდა ევროკავშირის წევრი და სხვა დასავლეთევროპული ქვეყნების მოქალაქე ჟურნალისტების, აგრეთვე ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების საქართველოში არშემოშვების ფაქტები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არშემოშვებული ჟურნალისტების უმრავლესობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ამბების (მათ შორის, საპროტესტო აქციების) აქტიური გამშუქებელია. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მათგანი 10 წელზე მეტია, საქართველოში ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეზეა დაქორწინებული და საქართველოში არასრულწლოვანი შვილები ჰყავს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ გარემოებებსაც სრულად უგულებელყოფს.

ქვემოთ მიმოხილულია უცხოელი ჟურნალისტების, უფლებადამცველებისა და საჯარო პირების საქართველოში არშემოშვების ზოგიერთი შემთხვევა. ყველა მათგანს ქვეყანაში შესვლაზე უარი კანონის ბუნდოვანი ჩანაწერით - „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებით“ უთხრეს. ამ პირების ნაწილის ინტერესებსა და უფლებებს TDI იცავს.

2024 წლის 17 სექტემბერს **ქართულ-სომხური მედიაგამოცემა Aliq Media-ს დამფუძნებელი, არსენ ხარატიანი**, საქართველოს საზღვარზე 4 საათით დააკავეს, ჩამოართვეს ტელეფონი, შემდეგ კი უკან გააბრუნეს. ხარატიანი, წლებია, საქმიანობდა და ცხოვრობდა საქართველოში. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ქვეყანაში არშემოშვებას ჟურნალისტი „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მიიჩნევს.[13]

ჩეხი ჟურნალისტი, რეი ბასელეი (Ray Baseley), საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წინ, 2024 წლის 23 ოქტომბერს, არ შემოუშვეს.[14] იგი 34 საათის განმავლობაში მოათავსეს მოსაცდელ ოთახში და სრულიად უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჩამოართვეს პირადი ნივთები, მათ შორის, ტელეფონი.[15] TDI-ს ადვოკატი, ორდერის საფუძველზე, მივიდა მის სანახავად და მისთვის იურიდიული კონსულტაციის გასაწევად, თუმცა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მათ შეხვედრის საშუალება არ მისცეს, რაც ასევე სრულიად უკანონოა.

13 „Aliq Media-ს დამფუძნებელი არსენ ხარატიანი საქართველოში არ შემოუშვეს“, პუბლიკა, 2024 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/gamocema-aliq-media-s-damfudznebeli-arsen-kharatiani-saqart-veloshi-ar-shemoushves/

14 „საქართველოში არ შემოუშვეს ჩეხი ჟურნალისტი - სახელმწიფო უწყებები კომენტარს არ აკეთებენ“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33170100.htm;

15 იქვე.

2024 წლის 26 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, **შვეიცარიელი ჟურნალისტი და ფოტოგრაფი, შტეფან გოსი (Stephan Goss)**, საქართველოში არ შემოუშვეს. მისი თქმით, ის საქართველოში არჩევნების გასაშუქებლად მოდიოდა. ამასთან, წარსულში რამდენჯერმე იყო ნამყოფი საქართველოში და აქამდე არასდროს შეჰქმნია პრობლემა საზღვრის გადმოკვეთისას. რადიო თავისუფლების ინფორმაციით, გოსი კონფლიქტების ფოტოგრაფია - საქართველოში ხალხმრავალი აქციების გარდა, ის მუდმივად იღებს უკრაინაში ფრონტის ხაზის გასწვრივ ადგილებს.[16]

2024 წლის 30 დეკემბერს **ბელგიელი ჟურნალისტი, ვიტსე დე გეიტერი (Wietse de Geyter)**, საქართველოში არ შემოუშვეს. იგი ამ შემთხვევამდე 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.[17] მანამდე, 7 დეკემბერს, „ქართული ოცნების“ სამართალდამცველების მიერ საპროტესტო აქციების მასობრივი დარბევების და დემონსტრანტებზე ძალადობის პერიოდში, გეიტერი რუსთაველის გამზირის მიმდებარედ სრულიად უკანონოდ და უსაფუძვლოდ დააკავეს და 48 საათის შემდგომ გაათავისუფლეს.[18]

2025 წლის 12 თებერვალს საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს **ფრანგ ჟურნალისტს, კლემან ჟირარდოს (Clément Girardot)**.[19] ჟირარდო ათ წელზე მეტია საქართველოში ცხოვრობს და მუშაობს, ჰქონდა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვა, ჰყავს საქართველოს მოქალაქე ცოლი და მცირეწლოვანი შვილი. ჟირარდო აქტიურად აშუქებდა საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებსა და საპროტესტო აქციებს.[20] კლემან ჟირარდო მეუღლესა და არასრულწლოვან შვილთან ერთად შემოდიოდა საქართველოში, როდესაც უკან დააბრუნეს, ხოლო მეუღლე და შვილი, ვინაიდან ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, ქვეყანაში შემოუშვეს. ჟირარდომ სახალხო დამცველს მიმართა და მისი უფლებების დარღვევის დადგენა მოითხოვა. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განმცხადებლის საქართველოში არშემოშვებით დაირღვა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და უგულებელყოფილი იქნა ბავშვის საუკეთესო ინტერესები. სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციითაც მიმართა.[21]

16 “„საქართველოში არჩევნების გასაშუქებლად არ შემოუშვეს კიდევ ერთი უცხოელი ჟურნალისტი“, რადიო თავისუფლება, 2024 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომი: https://www.radiotavisupleba.ge/a/33174257.html

17 “„არსებობს შავი სიები” - როგორ აბრუნებენ ევროპელ ჟურნალისტებს საზღვრიდან“, რადიო თავისუფლება, 2025 წლის 24 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/9IWpY;

18 Jarron Kamphorst, პოსტი და ვიდეო, 2024 წლის 7 დეკემბერი https://x.com/JarronKamphorst/status/1865356894711251058

19 კლემან ჟირარდოს ინტერესებს TDI იცავს.

20 “„Georgia: two French journalists turned away at the border as authoritarianism hardens“, Reporters Without Borders, ხელმისაწვდომია: https://rsf.org/en/georgia-two-french-journalists-turned-away-border-authoritarianism-hardens

21 საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის 18 მარტის N 25/2208 რეკომენდაცია.

არჩევნების შემდგომ და საპროტესტო აქციების პერიოდში, 2025 წლის 20 მარტს, საქართველოში არ შემოუშვეს **ლიეტუველი უფლებადამცველი, რეგინა იეგოროვა-ასკეროვა (Regina Jegorova-Askerova)**[22], რომელიც ქალთა უფლებებზე მომუშავე შვედური ორგანიზაციის „ქალები ქალებისთვის“ (The Kvinna till Kvinna Foundation) სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული დირექტორია.[23] იგი ყოფილი ჟურნალისტია, რომელიც საქართველოში 15 წელია ცხოვრობს.[24] მისი მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი საქართველოს მოქალაქეები არიან და საქართველოში მუდმივად ცხოვრობენ, ხოლო რეგინა იეგოროვა-ასკეროვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვას ფლობდა. ამის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მაინც გადაწყვიტა, რომ ოჯახის ერთიანობა დაერღვია და ბავშვების საუკეთესო ინტერესები საფრთხის ქვეშ დაეყენებინა.

TDI-მ საქართველოს სახალხო დამცველსაც მიმართა რეგინა იეგოროვა-ასკეროვას პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და მისი შვილების საუკეთესო ინტერესების დარღვევის დადგენის მოთხოვნით. სახალხო დამცველმა გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტაცია, დაადგინა განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, აგრეთვე ის, რომ უგულებელყოფილ იქნა ბავშვების საუკეთესო ინტერესები და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა.[25]

2025 წლის 30 მარტს საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს კიდევ ერთ ფრანგ **ფოტოჟურნალისტს, ჟერომ შობოს (Jérôme Chobeaux)**[26]. ის ბოლო თვეების განმავლობაში აშუქებდა საქართველოში მიმდინარე პროტესტს.[27] მასაც ტელეფონით დარეკვის უფლება არ მისცეს, რასაც არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და უკანონოა.

2025 წლის 20 მაისს საქართველოში არ შემოუშვეს ბრიტანელი ჟურნალისტი, უილ ნილი (Will Neal).[28] იგი საქართველოში 2022 წლიდან ცხოვრობდა. უილ ნილი სომხეთ-საქართველოს საზღვარზე 45 წუთის განმავლობაში გააჩერეს, ქვეყანაში შესვლაზე უარი კი ახსნა-განმარტების გარეშე, კანონის ბუნდოვანი ჩანაწერით - „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები“ - უთხრეს. მას არ აქვს წვდომა თბი-

22 რეგინა იეგოროვა-ასკეროვას ინტერესებს TDI იცავს.

23 ,,საქართველოში არ შემოუშვეს ლიეტუველი უფლებადამცველი, რომელიც აქ 15 წელია ცხოვრობს“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33353656.html

24 იქვე.

25 საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის 27 მაისის N25/4110 რეკომენდაცია.

26 ჟერომ შობოს ინტერესებს TDI იცავს.

27 “„Georgia: two French journalists turned away at the border as authoritarianism hardens“, Reporters Without Borders, ხელმისაწვდომია: https://rsf.org/en/georgia-two-french-journalists-turned-away-border-authoritarianism-hardens

28 უილ ნილის ინტერესებს TDI იცავს.

ლისში დატოვებულ პირად ნივთებზე. ნილის თქმით, აპრილში, როდესაც საქართველოს დროებით ტოვებდა, თბილისის აეროპორტში ის ქვეყნიდან გასვლის დროსაც დააყოვნეს საზღვარზე და მთელი რიგი უჩვეულო კითხვები დაუსვეს, მათ შორის, საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მის შეხედულებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ უილ ნილის საქართველოში არშემოშვებას წინ უძღოდა მის მიერ საქართველოს სახელისუფლებო წრეებთან დაკავშირებით მომზადებული საგამოძიებო მასალის[29] გამოქვეყნება, რასაც სახელისუფლებო მედიის მხრიდან ჟურნალისტზე პროპაგანდისტული და კოორდინირებული შეტევა მოჰყვა. უილ ნილის საგამოძიებო სტატია აღწერდა ბიზნესკავშირებს დიდი ბრიტანეთის კერძო საინვესტიციო ჯგუფ Hunnewell Partners-სა და ევროკავშირის მიერ სანქცირებულ რუს ოლიგარქ რომან აბრამოვიჩს შორის. მასალის თანახმად, Hunnewell Partner, რომელიც ტვ იმედის მფლობელის, ირაკლი რუხაძის, თანადაფუძნებულია, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის პარტნიორია და ფლობს სახელისუფლებო პროპაგანდისტულ მედიას, ტვ იმედს.[30]

2025 წლის აპრილის მდგომარეობით, ბოლო 5 თვის განმავლობაში ორჯერ მიიღო უარი საქართველოში შემოსვლაზე **ევროკავშირის მოქალაქე უფლებადამცველმა**. უარის თქმის კონკრეტული მიზეზი მისთვის არცერთ ჯერზე არ განუმარტავთ. რადიო თავისუფლების ინფორმაციით, უფლებადამცველი ამ ეტაპზე საკუთარი ვინაობის გამჟღავნებისგან თავს იკავებს.[31]

2025 წლის 3 თებერვალს საქართველოში **ცნობილი მართლმადიდებელი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ანდრეი კურაევი,** არ შემოუშვეს. კურაევი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ იყო მოწვეული და 5 თებერვალს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში უნდა ჩაეტარებინა ლექცია, სახელწოდებით - „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლო ისტორია - 100 წელი ავტოკეფალიურ განხეთქილებაში“. ტელეკომპანია ფორმულას ინფორმაციით, მას საქართველოს საზღვარზე გადასცეს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, 3 წლის მანძილზე საქართველოში შემოსვლა ეკრძალება.[32] აღსანიშნავია, რომ ის

29 „Moscow’s Ties to the Georgian Regime Ran Through Kensington and Chelsea“, Will Neal, Byline Times, 2025 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bylinetimes.com/2025/03/31/moscows-ties-to-the-georgian-regime-ran-through-kensington-and-chelsea/

30 საქართველოში არ შემოუშვეს ბრიტანელი ჟურნალისტი უილ ნილი - „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“, ხელმისაწვდომია: Between harassment and expulsion, Georgia is bent on silencing British journalist Will Neal, ხელმისაწვდომია: https://rsf.org/en/between-harassment-and-expulsion-georgia-bent-silencing-british-journalist-will-neal

31 „გამაბრუნეს” - ევროკავშირის კიდევ ერთი მოქალაქე არ შემოუშვეს საქართველოში“, რადიო თავისუფლება, 2025 წლის 10 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33381097.html

32 “„საქართველოში თეოლოგი და ფილოსოფოსი ანდრეი კურაევი არ შემოუშვეს“, ტელეკომპანია ფორმულა, 2025 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/123255

საჯაროდ აკრიტიკებს როგორც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, ასევე რუსეთის პატრიარქ კირილის პოლიტიკას. მან ასევე დაგმო რუსეთის ხელისუფლება 2014 წელს ყირიმის ანექსიისა და 2022 წელს უკრაინაში შეჭრის გამო.[33] 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ კურაევმა ქვეყანა დატოვა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში გადავიდა.[34]

2025 წლის 29 აპრილს საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა **რუმინელ სტენდაპ კომიკოსს, ვიქტორ პატრაშკანს (Victor Patrascan)**. მას 29-30 აპრილს, თბილისში სტენდაპ შოუები ჰქონდა დაგეგმილი. პატრაშკანის თქმით, საქართველოში მისი არშემოშვება „ქართული ოცნების“ მთავრობას უკავშირდება. კომიკოსი გამოირჩევა პოლიტიკური და სოციალური თემების გახმოვანებით და ანტირუსული განწყობებით.[35]

1.3. უცხოელი სტუდენტების საქართველოში არშემოშვების პრობლემა

2024 წლის აგვისტოდან მოყოლებული, საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით დაბრკოლებები შეექმნათ უცხოელ სტუდენტებსაც, რომლებიც საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლობენ. ისინი, უმეტესწილად, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან არიან. ზოგიერთი მათგანი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდანაც იყო, თუმცა, სხვადასხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, შესაძლოა, მათი აფრიკის ან აზიის ქვეყნებთან ასოცირება მოახდინეს. ბევრი სტუდენტი ამ პერიოდში საზაფხულო არდადეგებზე საკუთარ ქვეყანაში იყო წასული და უკან დაბრუნებისას საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით მათ პრობლემები შეექმნათ. ყველა მათგანს საქართველოში შემოსვლაზე უარის საფუძვლად ბუნდოვანი და უშინაარსო „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები“ მიუთითეს.[36] აღსანიშნავია, რომ საქართველოში არშემოშვებულ ზოგიერთ სტუდენტს 2024 წლის აგვისტოში ბინადრობის ნებართვები გაუუქმეს (მათგან ზოგიერთი სულ რამდენიმე თვის გაცემული იყო).

33 “„საქართველოში თეოლოგი და ფილოსოფოსი ანდრეი კურაევი არ შემოუშვეს“, ჯემნიუსი, 2025 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/ge/saqartveloshi-andrei-kuraevi-ar-shemoushves/

34 „TV ფორმულა: მართლმადიდებელი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ანდრეი კურაევი ქვეყანაში არ შემოუშვეს“, ტაბულა, 2025 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/en/news/729542-tv-pormula-martlmadidebeli-teologi-pilosoposi

35 „ვღელავ ქართველ ხალხზე“ - საქართველოში რუმინელი კომიკოსი, ვიქტორ პატრაშკანი არ შემოუშვეს“ ტელეკომპანია პირველი, 2025 წლის 4 მაისი, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/100371-vgelav-qartvel-khalkhze-saqartveloshi-rumineli-komikosi-viqtor-patrashkani-ar

36 2024-2025 წლებში საქართველოში დაუსაბუთებლად არშემოშვების საქმეზე TDI ორი უცხოელი სტუდენტის ინტერესებს იცავს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ უკვე რამდენიმე წელია, ეს სტუდენტები, რაც საქართველოში სწავლობენ, ზოგიერთი მათგანი კი უკვე დამამთავრებელ კურსზე/სემესტრში იმყოფება. მათ და მათს ოჯახებს სწავლისთვის დახარჯული აქვთ დრო და მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ მათთვის სწავლის დასრულებისა და აკადემიური ხარისხის მიღების შესაძლებლობის წართმევა ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს უფლების შეზღუდვის პროპორციულობის პრინციპს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველოში შემოშვებაზე უარის თქმის საფუძვლად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს არავითარი კონკრეტული მიზეზი არ მიუთითებია და სრულიად უმართებულოდ გამოიყენა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი („საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევები“).

მაგალითად, 2024 წლის სექტემბერში საქართველოში არ შემოუშვეს იორდანიის მოქალაქე ორი სტუდენტი, რომელთაგან ერთი სამედიცინო ფაკულტეტის მე-7 სემესტრში, ხოლო მეორე - ამავე ფაკულტეტის მე-9 სემესტრში (მე-5 კურსზე) გადადიოდა. ოქტომბერში არ შემოუშვეს ეგვიპტის მოქალაქე, რომელიც მე-6, დამამთავრებელ კურსზე გადადიოდა.

სტუდენტებს მოუწიათ საქართველოში სწავლის შეწყვეტა და სხვა ქვეყნებში მისი გაგრძელება. ორიდან ერთ სტუდენტს კი (რომელიც საქართველოში 4 წელი მედიცინას სწავლობდა) მოუწია, რომ თავისივე ქვეყანაში სრულიად ახალი პროფესიის შესწავლა დაეწყო, ვინაიდან მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ ჰქონდა.

2. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის, მასზე უარის და გაუქმების პოლიტიკა

წლებია, რაც TDI აკვირდება საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემისა და მასზე უარის პრაქტიკას და იურიდიულ დახმარებას უწევს უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღებაზე. თუკი წინა წლებში მთავარი პრობლემა ბინადრობის ნებართვის მიღებაზე ან გაგრძელებაზე დაუსაბუთებელი უარი იყო (განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეების შემთხვევაში), 2024 წელს ახალ მანკიერ ტენდენციად უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მოქმედი ბინადრობის ნებართვების მოულოდნელად და დაუსაბუთებლად გაუქმება გამოიკვეთა.

2024 წლის ზაფხულიდან მოყოლებული, TDI-ს არაერთმა უცხოელმა სტუდენტმა მომართა დახმარების თხოვნით, რადგან მათ მოქმედი სასწავლო ბინადრობის ნებართვები მოულოდნელად გაუუქმდათ და საქართველოში სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ ეძლეოდათ. 2024 წლის აგვისტოდან, საანგარიშო პერიოდში, TDI-მ 8 ასეთ საქმეზე გასწია წარმომადგენლობა (აქედან 7 უცხოელს ბინადრობის ნებართვა ერთსა და იმავე დღეს, 2024 წლის 14 აგვისტოს, გაუუქმდა), მსგავსი პრობლემის წინაშე მდგარ კიდევ არაერთ უცხოელ სტუდენტს კი იურიდიული კონსულტაცია გაუწია (ბენეფიციარებისგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბინადრობის ნებართვა კიდევ სხვა უცხოელ სტუდენტებსაც გაუუქმდათ). ყველა შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის გაუქმების საფუძვლად მითითებული იყო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. რაც შეეხება ძალადაკარგული ბინადრობის ნებართვების იმ მფლობელთა მოქალაქეობას, რომლებმაც დახმარებისთვის TDI-ს მომართეს, ისინი ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების მოქალაქეები არიან. სავარაუდოა, რომ ბინადრობის ნებართვა-

სთან დაკავშირებით აფრიკისა და აზიის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც შეიძლება შეექმნათ პრობლემა, რადგან მათ მიმართ პოლიტიკა ბინადრობის ნებართვის არგაცემის კუთხით, წლებია უკვე, დისკრიმინაციული და დაუსაბუთებელია.[37]

TDI დაინტერესდა, თუ რა მასშტაბი ჰქონდა 2024 წელს ბინადრობის ნებართვების ძალადაკარგულად გამოცხადებას და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან გამოითხოვა შესაბამისი საჯარო ინფორმაცია, თუმცა, 2025 წლის მაისის მდგომარეობით, TDI-ს პასუხი არ მიუღია. როგორც აღინიშნა, ძალადაკარგულად გამოცხადებული ბინადრობის ნებართვები გაცემული იყო სტუდენტებზე. მათი უმრავლესობა საქართველოში, უკვე რამდენიმე წელია, სწავლობს, ზოგიერთი მათგანი კი უკვე დამამთავრებელ კურსზე იმყოფება. ბინადრობის ნებართვების ძალადაკარგულად გამოცხადებით მათ აღარ აქვთ სამართლებრივი საფუძველი სწავლის მიზნით იცხოვრონ საქართველოში, დაასრულონ სწავლა და მიიღონ აკადემიური ხარისხი.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სასამართლოში 2024 წელს შეტანილ რვავე სარჩელში TDI-მ ბინადრობის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა დააყენა. სამ საქმეზე სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რამაც ბინადრობის ნებართვების დროებით აღდგენა გამოიწვია (თუმცა, მოგვიანებით, სააგენტოს კერძო საჩივრების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სამივე საქმეზე გააუქმა სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ განჩინებები, რის შედეგადაც, აღდგენილი ბინადრობის ნებართვები კვლავ გაუქმდა). სამიდან ორმა სტუდენტმა, რომელთა ბინადრობის ნებართვებს იურიდიული ძალა აღუდგა, საქართველოში შემოსვლა სცადა, თუმცა, აქტიური ბინადრობის ნებართვების ქონის მიუხედავად, მათ უარი ეთქვათ საქართველოში შემოშვებაზე; ამის მიზეზად კი „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების“ დაუკმაყოფილებლობა დასახელდა.

რაც შეეხება ბინადრობის ნებართვების გაცემის ტენდენციას, მისი შეფასება ძნელია, რადგან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ TDI-ს მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც უპასუხოდ დატოვა.[38] გამოთხოვილი ინფორმაცია მოიცავდა მონაცემებს ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით შესული განცხადებების, დაკმაყოფილებული განცხადებებისა და განცხადების დაკმაყოფილებაზე სახელმწიფოს მხრიდან გაცემული უარის რაოდენობის შესახებ, შესაბამისი მოქალაქეობის მითითებით. ასევე,

37 იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) ანგარიში „უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში, 2022“. გვ. 22-26. https://tdi.ge/sites/default/files/tdi_ucxoelta_uplebrivi_mdgomareoba_da_rasizmi_sakartveloshi_2022_angarishi.pdf.

38 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2025 წლის 9 იანვრის N 06/01/2025 წერილი.

თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის შემთხვევებიდან რამდენი იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნის/რეკომენდაციის საფუძველზე („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და/ან „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე).

შესაბამისად, ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა TDI-ს მიერ ნაწარმოებ სასამართლო საქმეებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. ამის გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბინადრობის ნებართვის გაცემაზე და ვადის გაგრძელებაზე დაუსაბუთებელი უარის პრაქტიკა, რასაც საფუძვლად, ყველა შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნა უდევს. საანგარიშო პერიოდში TDI-მ 3 ასეთი ახალი საქმე აწარმოვა, რომელთაგან ყველაში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად ნებართვის გაცემის სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებთან შეუთავსებლობა იყო დასახელებული. იმის გამო, რომ ბინადრობის ნებართვა არ გაუგრძელდა, ერთ-ერთი სტუდენტი საანგარიშო პერიოდში საქართველოდან გაძევების საფრთხის წინაშე უკვე დადგა, მაშინ, როდესაც სწავლის დასრულებას, სულ რაღაც, 3 თვე აშორებს.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოდან გაძევების პრაქტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული „უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების“ სტატისტიკის მიხედვით, 2024 წელს საქართველოდან გაძევებული იქნა 363 უცხო ქვეყნის მოქალაქე.[39] ეს რიცხვი, 2023 წელთან (190 უცხო ქვეყნის მოქალაქე)[40] შედარებით, თითქმის ორჯერაა გაზრდილი. როგორც 2024 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, ყველაზე ხშირად საქართველოდან აზერბაიჯანის, ირანის, ინდოეთის, თურქეთისა და ნიგერიის მოქალაქეებს აძევებენ. განსაკუთრებით თვალშისაცემია 2025 წლის I კვარტალში საქართველოდან გაძევებულ პირთა რაოდენობის ზრდა. ამ პერიოდში საქართველოდან უკვე გაძევებულია უცხო ქვეყნის 219 მოქალაქე, რაც თანხვედრაშია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების არადემოკრატიულ და ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილ პოლიტიკასთან.[41]

„ბათუმელი მედროშის“, თემურ ქათამაძის საქმე

თემურ ქათამაძის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები, რომლებიც მოიცავს ადმინისტრაციულ დაკავებას, ბინადრობის ნებართვასა და მოქალაქეობაზე უარის თქმას და საქართველოდან გაძევების პროცედურების დაწყებას, ნათლად მიუთითებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ სამართლებრივი მექანიზმების პოლიტიკური მოტივით გამოყენებაზე იმ პირების დევნის მიზნით, რომელთა სამოქალაქო აქტივობა ან კრიტიკა მისთვის მიუღებელია.

39 შინაგან საქმეთა სამინისტრო, საჯარო ინფორმაცია, 2024 წელი, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=863&parent_id=258

40 შინაგან საქმეთა სამინისტრო, საჯარო ინფორმაცია, 2023 წელი, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=768&parent_id=258

41 შინაგან საქმეთა სამინისტრო, საჯარო ინფორმაცია, 2025 წლის I კვარტალი, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=957&parent_id=956

თემურ ქათამაძე (გაფფარ ილმაზი) ეთნიკურად ქართველი თურქეთის მოქალაქეა. ის თავს მუჰაჯირების[42] შთამომავლად მიიჩნევს და არის თურქეთის ეთნიკური ქართველების მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის, „ჩვენებურების“, აქტიური წევრი და ლიდერი. ქათამაძე საქართველოში 2012 წელს ჩამოვიდა ისტორიულ სამშობლოში რეინტეგრაციისა და ცხოვრების მიზნით. მან საქართველოს მოქალაქეობის მიღების მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართა (2012, 2015, 2019 წლებში) განცხადებით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და, ქართულ ენასა თუ ისტორიაში შესაბამისი გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა. მიუხედავად ამისა, სამივე შემთხვევაში მას მოქალაქეობაზე უარი უთხრეს. თემურ ქათამაძე 2019 წლამდე ქვეყანაში სამუშაო ბინადრობის ნებართვით ცხოვრობდა, თუმცა 2020 წელს ბინადრობის ნებართვის გაგრძელებაზეც უარი მიიღო.[43]

მისი საქართველოდან გაძევების საკითხი დღის წესრიგში მას შემდგომ დადგა, რაც თემურ ქათამაძე „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიული და ანტიდასავლური პოლიტიკის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებში აქტიურად ჩაერთო. ის ბათუმის უწყვეტ საპროტესტო აქციებზე ყოველთვის საქართველოს დროშით ხელში იდგა, ამიტომ „ბათუმელი მედროშე“ შეარქვეს. სწორედ საჯარო პროტესტის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგი 2025 წლის 11 იანვარს ადმინისტრაციული წესით დააკავა და სასამართლომ 5-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.[44]

16 იანვარს, ადმინისტრაციული პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ის ხელმეორედ დააკავა, ამჯერად საიმიგრაციო კანონმდებლობის საფუძველზე, მისი ქვეყნიდან გაძევების მიზნით. 18 იანვარს სამტრედიის რაიონული სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, მისი საქართველოდან გაძევების საქმის განხილვამდე, თემურ ქათამაძე მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოათავსეს.[45] დროებითი დაკავების იზოლატორში მოთავსების შემდგომ ის 48 დღის განმავლობაში შიმშილობდა და 2025 წლის მაისის მდგომარეობით, კვლავ პატიმრობაშია.[46]

42 „მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და გადასახლებულს ნიშნავს.

43 “„13-წლიანი ბრძოლა საქართველოში დასარჩენად - ვინ არის „ბათუმელი მედროშე“ თემურ ქათამაძე“, რადიო თავისუფლება, 2025 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HerWym

44 თემურ ქათამაძე (გაფფარ ილმაზი), რომელსაც ქვეყნიდან გაძევება ემუქრება, მე-13 დღეა შიმშილობს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025 წლის 29 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/Temurqatamadze-shimshiloba-gyla

45 თემურ ქათამაძის ინტერესებს სასამართლოში იცავს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.

46 „შიმშილობის 48-ე დღეს თემურ ქათამაძე სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025 წლის 5 მარტი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/Shimshilobis-48-e-dges-temur-qatamadze

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტმა 30 აპრილს თემურ ქათამაძის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.[47] 13 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.[48] საყურადღებოა, რომ თემურ ქათამაძის განცხადებით, გაძევების შემთხვევაში, თურქეთშიც არსებობს მისი თავისუფლებისა და სიცოცხლის უფლების ხელყოფის საფრთხე.

47 „საია თემურ ქათამაძის ქვეყნიდან გაძევების პროცედურების შეჩერებას ითხოვს“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025 წლის 6 მაისი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/temur-qatamadze-gadzevebissaqme?fbclid=IwY2xjawKGrIhleHRuA2FIbQIxMABicmlkETFFYVFIVHFBT1RLa0xaUzM5AR4cR7dXui0nkArbNSsf8bcqLrxpANlaIV4TeC3Yx-iI-5HAkSTv-vtPDo30RNA_aem_3tLThiFIoSQhzP3tYc6HEA

48 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ფეიქბუქ პოსტი, 2025 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/share/p/1ALKijS2KU/

4. რასოგრივი დისკრიმინაცია და დანაშაულები

4.1. რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა

რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესწავლის მიზნით, TDI-მ გააანალიზა საჯარო წყაროებით გამოქვეყნებული მონაცემები და სხვადასხვა უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვის პასუხად მიღებული წერილები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიან ანგარიშში საანგარიშო პერიოდშიც პრობლემად დარჩა „რასის“ ცნება. ჩამოთვლილი უწყებები „რასის“ ცნებაში მოიაზრებენ: „რასას“, კანის ფერს, ენას, მოქალაქეობას, ეროვნულ და ეთნიკურ კუთვნილებას და წარმოშობას[49], რაც გამორიცხავს იმის ზუსტი აღრიცხვის შესაძლებლობას, თუ კონკრეტულად რა ნიშნით და რომელი ჯგუფის მიმართ იყო ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოებული სტატისტიკა ხარვეზიანია და დახვეწას საჭიროებს.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის 2024 წლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში:

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო, სულ 51 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც რასობრივი დისკრიმინაციის ნიშანი იკვეთებოდა. მათგან 43 ეხებოდა მხოლოდ „რასის“ ნიშნით დისკრიმინაციას, 4 - „რასას“ გენდერულ ნიშანთან ერთობლიობაში, 3 - „რასას“ სექსუალურ ორიენტაციასთან ერთობლიობაში და 1 - „რასას“ რელიგიასთან ერთობლიობაში.[50]

49 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2024. „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“. https://www.geostat.ge/media/68742/diskriminacia_2024.pdf, გვ. 1

50 იქვე.

- საქართველოს პროკურატურის მონაცემებით, 2024 წლის განმავლობაში პროკურატურამ რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 პირის მიმართ (მათგან, მოტივის სახით, რასობრივ შეუწყნარებლობასთან ერთად, 2 პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში რელიგიური შეუწყნარებლობაც იკვეთებოდა, 3 პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში - სექსუალური ორიენტაციაც, ხოლო 3 პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში - გენდერიც)[51]. ხსენებული კატეგორიის დანაშაულზე 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.[52] ამასთან, ამ კატეგორიის დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილი იქნა, სულ, 17 პირი.[53]

- სასამართლოებმა, რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების გამო, საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულად ცნეს 10 პირი (რომელთაგან 9 საქმეზე გამოძიება საანგარიშო პერიოდში დაიწყო).

TDI-მ რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი და „რასის“, მოქალაქეობის, წარმოშობის ნიშნით თანასწორუფლებიანობის დარღვევის შემცველი დანაშაულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ასევე გამოითხოვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან[54] (რომელსაც უწყებრივად ექვემდებარება რასობრივი დისკრიმინაციით ჩადენილი დანაშაულების გამოძიება[55]). თუმცა, ამ უკანასკნელისგან პასუხი არ მიგვიღია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის დაქვემდებარება პრინციპულად გაუმართლებელია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარი მისიისა და დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისათვის საჭირო სპეციფიკური მიდგომების ურთიერთშეუთავსებლობის გამო. კერძოდ, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები განეკუთვნება ისეთი კატეგორიის საქმეებს, რომლებიც საგანგებო და სენსიტიურ მიდგომას საჭიროებს, რის სრულფასოვანი კომპეტენციაც, შეიძლება, მხოლოდ სპეციალიზებულ დანაყოფს ჰქონდეს. მეორე მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად დახურული, გაუმჭვირვალე და გასაიდუმლოებულია. ეს კი არ შეესაბამება დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების სპეციფიკას, ვინაიდან ამ კატეგორიის დანა-

51 იქვე. გვ. 12.

52 იქვე. გვ. 24.

53 იქვე. გვ. 16.

54 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2025 წლის 9 იანვრის N07/01/2025 წერილი.

55 იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის“ მე-4 პუნქტი.

შაულები ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან უნდა იქნას გამოძიებული, რაც, საგამოძიებო ორგანოს სპეციალურ კომპეტენციასთან ერთად, განსაკუთრებულ მონიტორინგსაც საჭიროებს. ამის ნაცვლად, სუს-ის მიერ ასეთი დანაშაულების გამოძიება, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს უმცირესობების გარკვეული ჯგუფებისა თუ რეგიონების უსაფრთხოების ჭრილში განხილვას და კონტროლს.[56]

4.2. რასობრივი დისკრიმინაციის სხვა შემთხვევები

თბილისში მოქმედი კერძო უნივერსიტეტი, „ნიუ ვიჟენი", რომელშიც ბევრი უცხოელი სტუდენტი ირიცხება, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მუსლიმ სტუდენტებს ხელს უწყობდა მათ მიერ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით სარგებლობაში, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, კონკრეტულ დროს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე (ღია სივრცეში) პარასკევის ლოცვა (ჯუმა) შეესრულებინათ.

2025 წლის 24 იანვარს სოციალურ ქსელ Facebook-ში მომხმარებელმა გამოაქვეყნა ვიდეო ტექსტით „და ამასობაში დიღომში....", რომელზეც ზემოაღნიშნული პარასკევის ლოცვის ერთი მონაკვეთი იყო ასახული.[57] ვიდეოს ქვეშ მრავლად დაიწერა ქსენოფობიური და ისლამოფობიური კომენტარები. მომდევნო დღეს, 2025 წლის 25 იანვარს, პრორუსული, ძალადობრივი დაჯგუფება ალტ-ინფოს (პოლიტიკურ პარტიად ფორმირების შემდეგ სახელწოდებით „კონსერვატორები საქართველოსთვის") youtube-არხზე დასახელებული ვიდეოს განხილვა გამოქვეყნდა, რომელიც ასევე ქსენოფობიითა და ისლამოფობიით ხასიათდებოდა.[58] მსგავსი შინაარსის იყო ვიდეოზე დაწერილი ზოგიერთი კომენტარიც.

მალევე, 2025 წლის თებერვალში, სტუდენტებმა უნივერსიტეტისგან მიიღეს შეტყობინება, რომ უნივერსიტეტი მუსლიმ სტუდენტებს პარასკევის ლოცვისთვის ამ ღია სივრცეს ვეღარ გამოუყოფდა. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პარასკევის ლოცვებში თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან არაერთი მუსლიმი სტუდენტი მონაწილეობდა ხოლმე. უნივერსიტეტის მიერ ამისთვის სივრცის გამოყოფა მათი რელიგიის თავისუფლების რეალიზებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს. ამ შესაძლებლობის წართმევა ქრონოლოგიურად ემთხვევა ინტერნეტსივრცეში ზემოაღნიშნული ვიდეომასალის გავრცელებას.

56 ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) ანგარიში „უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში (კოვიდპანდემიის პირობებში და მის მიღმა), 2020-2021 (ივნისი)", 2021, გვ. 24-26.

57 იხ. https://www.facebook.com/share/v/162xrL458N/

58 იხ. https://www.youtube.com/watch?v=CG-ovrQaBpw

მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ 2024 წლის აგვისტოდან წლის ბოლომდე, სულ მცირე, 8 სტუდენტს, რომლებიც ამ უნივერსიტეტის სივრცეში პარასკევობით ლოცვის უფლებით სარგებლობდნენ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნის საფუძველზე, ბინადრობის ნებართვები გაუუქმდათ[59]. ამ სტუდენტებთან, აგრეთვე მათ მეგობრებთან TDI-ს კომუნიკაციის შედეგად, გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა ბინადრობის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადებას სწორედ თავის აღმსარებლობას და რელიგიურ აქტივობას უკავშირებს.

საანგარიშო პერიოდში TDI-ის აფრიკისა და აზიის ქვეყნების არაერთმა მოქალაქემ გაუზიარა ინფორმაცია მათ მიმართ საჯარო სივრცეში გამოხატული რასისტული სიძულვილისა და მუქარის შესახებ. აღსანიშნავია, რომ, ხშირ შემთხვევაში, ამგვარი ინციდენტები პოლიციის მხრიდან რეაგირების გარეშე რჩება. შეინიშნება პოლიციისადმი უნდობლობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებშიც. ისინი აღნიშნავენ, რომ სულ უფრო ნაკლები ნდობა აქვთ სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ და საჭიროების შემთხვევაში, ხშირად ირჩევენ, არ მიმართონ პოლიციას.

59 ამ სტუდენტების ინტერესებს TDI იცავს.